

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

ფინანსური ანგარიშგება

შპს თავადი -I

(ს/ნ 220402632)

26 სექტემბერი 2022 წ.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები-----	7-17

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020
	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	1457976	1202526	509300
ძირითადი საშუალებები	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
ბიოლოგიური აქტივი	-	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივი	1457976	1202526	509300
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	366252	179443	69714
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15302	-	171420
მარაგები	61775	-	589084
სხვა მოკლევადიანი აქტივები	443329	3876	208789
სულ მოკლევადიანი აქტივი	1901305	183319	1039007
მთლიანი აქტივები	1901305	1385845	1548307
მოვალეობები			
მოვალეობები			
საკუთარი კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	255661	353003	402692
მიმდინარე მოგება/ ზარალი	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	255661	353003	402692
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	778472	458148	543507
გრძელვადიანი სესხები	-	-	-
ანარიცხები	-	-	-
გადავადებული შემოსავალი	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივი	778472	458148	542507
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	174081	12105	-
საგადასახადო ვალდებულებები	1782	-	-
სხვა ვალდებულებები	691309	562589	602108
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	867172	574694	602108
მთლიანი ვალდებულებები	1645644	1032842	1145615
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	1901305	1385845	1548307

დირექტორი

26 სექტემბერი, 2022

ზუგდიდი. საქართველო



ელგუჯა გურიელი/

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021	2020
	ლარი	ლარი
ამონაგები	4651164	3774626
რეალიზაციის თვითღირებულება	(3612816)	(1768889)
საერთო მოგება	1038348	2005737
დასაქმებულთა ანაზღაურება	(446008)	(536883)
ცვეთა ამორტიზაციის ხარჯი	(150909)	(110712)
სხვა შემოსავალი	6826	-
საპროცენტო ხარჯი	(36620)	(34380)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	(377273)	(1376293)
საოპერაციო მოგება	34364	(52531)
ფინანსური ხარჯი	-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა	-	-
მოგება დაბეგვრამდე	34364	(52531)
მოგების გადასახადი	(19756)	2842
წმინდა მოგება	14608	(49689)
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების		
გადაფასებიდან,		
გადასახადების გამოკლებით	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	14608	(49689)

 / ელგუჯა გურიელი/
დირექტორი




26 სექტემბერი, 2022
ზუგდიდი, საქართველო

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2021	31.12.2020
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
გაყიდვებიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	5454397	4311376
საქონლის და მომსახურების მომწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4473056)	(2703679)
გადახდილი ხელფასები	(356807)	(429507)
გადახდილი სხვა ფულადი სახსრები	(209945)	(258452)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	414589	919738
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(406359)	(690250)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(406359)	(690250)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების მღება	815162	404863
სესხები დაფარვა	(494838)	(490222)
გადახდილი პროცენტი	(36620)	(34380)
გადახდილი დივიდენდი	(106353)	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	177351	(119739)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	185581	109749
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	1228	(20)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	179443	69714
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	366252	179443


 დირექტორი
 26 სექტემბერი, 2022
 ზუგდიდი, საქართველო

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრისთვის			402692	402692
ბრდა (+)				
შემცირება (-)		-	(49689)	(49689)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის			353003	353003
ბრდა (+)			14608	14608
შემცირება (-)		-	(111950)	(111950)
2021 წლის 31 დეკემბრისთვის		-	255661	255661

 /ელზუჯა გურიელი/
დირექტორი

26 სექტემბერი, 2022
ზუგდიდი, საქართველო

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

გაუნაწილებელი მოგების ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით.

	გაუნაწილებელი მოგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	402692
მიმდინარე წლის ზარალი	(49689)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	353003
მიმდინარე წლის მოგება გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	14608 (111950)
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	255661


დირექტორი
26 სექტემბერი, 2022
ზუგდიდი. საქართველო

 /ელგუჯა გურიელი/

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ და ძირითადი საქმიანობა

შპს „თავადი I“ (ს/ნ 220402632) (შემდგომში კომპანია) არის 2007 წლის 02 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო.ქ. ზუგდიდი. ზ. გამსახურდიას № 12
კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის პარტნიორი	31.12.19 წ.	31.12.20 წ.	31.12.21 წ
/ ელგუჯა გურიელი (პ/ნ 19001001573)	100 %	100%	100%
სულ	100 %	100 %	100%

საანგარიშო პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო -ელგუჯა გურიელი (პ/ნ 19001001573)

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი


კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში , თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.



დირექტორი
26 სექტემბერი, 2022
ზუგდიდი. საქართველო



2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31.12.2021	31.12.2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0961	3.2766
ლარი/1 ევრო	3.504	3.8586

3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4 ძირითადი საშუალებები

3.4.1 აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

(ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

(ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

დირექტორი

26 სექტემბერი, 2022

ზუგდიდი. საქართველო

/ ელგუჯა გურიელი /

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

3.4.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდგომში.

3.4.3. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები;

დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.5 ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- შენობა-ნაგებობები 30 – 50 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5 – 10 წელი;
- მანქანა დანადგარები 5 – 10 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 5 – 10 წელი;
- ცვეთა არ ერიცხება მიწას და დაუმთავრებელ შენობა ნაგებობას.

დირექტორი

26 სექტემბერი, 2022

ზუგდიდი. საქართველო



/ ელგუჯა ზურიელი /

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი - I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუიმი ძირითადი საშუალების გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

(ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.6 არამატერიალური აქტივები

3.6.1 აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

(ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;

(ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება;

(გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.6.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას მოახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

(ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.6.3 აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს შეაფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას გაანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.6.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია შეწყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;

ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

დირექტორი

26 სექტემბერი, 2022

ზუგდიდი. საქართველო



/ელგუჯა ზურბილი/

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.7 მარაგები

3.7.1 აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.7.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.7.3 თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.7.5 აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს მარაგების აღიარებას

ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);

ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

დირექტორი
26 სექტემბერი, 2022

ზუგდიდი. საქართველო



/ელგუჯა გურიელი/

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

3.8 ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.8.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.8.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.8.3 გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.8.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.9 მოგების გადასახადი

საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი სანამ არ მოხდება ან დივიდენდის გზით მოგების განაწილება ან განაწილებად მიჩნევა.

დივიდენდის განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება და იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივები ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმას.

 /ელგუჯა გურიელი/
დირექტორი
26 სექტემბერი, 2022
ზუგდიდი. საქართველო

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი - I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

აგრეთვე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისათვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

3.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის

3.11 დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.12 შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

დირექტორი
26 სექტემბერი, 2022
ზუგდიდი, საქართველო



2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

3.13 ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.14 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

მსს ფასს სტანდარტის 33-ე განყოფილება „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპით.

3.15 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

საწარმო შესაძლებლობის ფარგლებში, რეტროსპექტულად შეასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომებს მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში,

4. თვითღირებულების ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის გაყიდვების თვითღირებულების ხარჯები მოიცავდა:

თვითღირებულების ხარჯები	2021 ლარი	2020 ლარი
გაყიდვების თვითღირებულება	3612816	1768889
სულ	3612816	1768889

დირექტორი
26 სექტემბერი, 2022
ზუგდიდი, საქართველო



2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2021 ლარი	2020 ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	446008	536883
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	377273	1376293
საპროცენტო ხარჯი	36620	34380
ცვეთა	150909	110712
სულ	1010810	2058268

საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) მოიცავდა:

საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	2021 ლარი	2020 ლარი
შემოსავალი კურსთაშორისი სხვაობიდან	2942	246
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(1714)	(266)
სულ	1228	(20)

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავდა:

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2021 ლარი	2020 ლარი
ფული სალაროში	29	26
ფული ბანკში	366223	179417
სულ	366252	179443

დირექტორი

26 სექტემბერი, 2022

ზუგდიდი, საქართველო



/ ელგუჯა გურიელი/

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

7. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

8.1 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და ატარებს ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს რომელიც მას სჭირდება იმ რწმუნებისთვის, რომ მას გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

8. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

9. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არანაირი ოპერაციები არ ჰქონია.

დირექტორი

26 სექტემბერი, 2022


ზუგდიდი. საქართველო



2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
შპს თავადი -I ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

10. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2021 წლის დასაწყისში მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსის ინფექციური დაავადებამ (COVID-19) მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზნეს გარემოზე მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც.


დირექტორი

26 სექტემბერი, 2022

ზუგდიდი. საქართველო

